ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4880175

ნომერი: AR1732406

თარიღი : 07.02.2020

გაცემის თარიღი : 28.02.2020

გაცნობის თარიღი : 01.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზი ფავლენიშვილი პ/ნ 01009011590
- ბოლნისი ს. ბალიჭი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4579407 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 07

თებერვალს NAR1732406 განცხადებით მომართა მალხაზი ფავლენიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4579407 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4579407 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისი N4/ქალაქი თბილისი, დასახლება ზემო ვეძისი N2ა/ქალაქი თბილისი, დასახლება ზემო ვეძისი N3ა-ში მდებარე საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.18.009.186), სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი აპარტამენტების I და IV ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 08 ივლისიდან 2021 წლის 08 ივლისის ჩათვლით
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4579407 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კომერციული ფართობი 3942.5 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 3942.6 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 1238.7 კვ.მ-ის ნაცვლად 1233.8 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 2059.8 კვ.მ-ის ნაცვლად 2028.2 კვ.მ, საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობი 4099.5 კვ.მ-ის ნაცვლად 4109.9 კვ.მ. საერთო ფართობი 13813.1 კვ.მ-ის ნაცლვად იქნება 13787.0 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება. თუმცა, წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმების მიხედვით, საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობი შეადგენს 4109.8 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4579407 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კომერციული ფართობი: 3942.6 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 1233.8 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 2028.2 კვ.მ, საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობი: 4109.8 კვ.მ. საერთო ფართობი: 13787.0 კვ.მ.
2. სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4579407 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით (გარდა წარმოდგენილი გენ-გეგმისა).
3. სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4579407 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4579407 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.